თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 10

10 ივნისი 2021 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 22 დეპუტატი.

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
გიგა ორკოდაშვილი

ესწრებოდნენ:

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;**

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის
თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და
ბუნებრივი რესურსების კომისიის
თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;**

საკრებულოს ფრაქცია
„ქართული ოცნება-კონსერვატორები“
თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
თავმჯდომარე **ალექსი ძულიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე **ვასილ არაბული;**
საკრებულოს ფრაქცია

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარის მოადგილე **მიხეილ გრემელაშვილი;**

საკრებულოს წევრები: დავით ჯორჯაძე, ზაქარია გრიშიკაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, გურამ წულუკიძე, ლევან მრელაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიაპარაშვილი(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი;**

მოქალაქე **არჩილ მჭედლიშვილი.**

ნ.ხვისტანმა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარედ ალექსანდრე შათირიშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ“.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით **დღის წესრიგი** დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე შათირიშვილის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ცნობად მიღების თაობაზე.

   მომხს. გ. ორკოდაშვილი
   10.00სთ-დან - 10.05 სთ-მდე

2. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარედ ალექსანდრე შათირიშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ“.

   მომხს. ნ. ხვისტანი
   10.05სთ-დან - 10.20 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 ივლისის №21 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენებისა და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ნ. ხვისტანი
   10.05სთ-დან - 10.20სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. გ. ენუქიძე
10.20სთ-დან - 10.40 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხს. გ. ორკოდაშვილი
10.40საათიდან

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე შათირიშვილის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. გ. ორკოდაშვილი
10.00სთ-დან - 10.05სთ-მდე

გ.ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე შათირიშვილმა მიმდინარე წლის 2 ივნისს მიმართა საკრებულოს ბიუროს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე შათირიშვილის თანამდებობიდან გადადგომა მიღებულ იქნეს ცნობად.

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარედ ალექსანდრე შათირიშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ“.

მომხს. ნ. ხვისტანი
10.05სთ-დან - 10.20 სთ-მდე

ნ.ხვისტანმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 3 ივნისს საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ სხდომაზე ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საკრებულოს წევრი ალექსანდრე შათირიშვილი.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარედ ალექსანდრე შათირიშვილის არჩევა მიღებულ იქნეს ცნობად.

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 ივლისის №21 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენებისა და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. ხვისტანი
10.20სთ-დან - 10.40სთ-მდე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ მოითხოვა დადგენილებაში გარკვეული კორექტირებების შეტანა, რადგან აღსრულების პროცესში შეექმნათ გარკვეული პრობლემები.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი(აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>**4.მოისმინეს:**</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №08 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ. ენუქიძე

10.40სთ-დან - 10.50სთ-მდე

<u>**გადაწყვიტეს:**</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>**5.მოისმინეს:**</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხს. გ. ორკოდაშვილი

10.50საათიდან

თავმჯდომარემ მოითხოვა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება.

ალექსანდრე შათირიშვილმა ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ სახელით თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ დაასახელა საკრებულოს წევრი უჩა ჭოტიაშვილის კანდიდატურა.

სხვა კანდიდატურა დასახელებული არ ყოფილა.

თავმჯდომარემ ფარული კენჭის მოსაწყობად საჭირო საორგანიზაციო საკითხებისათვის გამოცხადდა შესვენება 20 წუთი.

საკრებულოს წევრებს დაურიგდათ ბიულეტინები და კონვერტები ფარული კენჭისყრისათვის.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურდიულ საკითხთა კომისიამ უზრუნველყო კენჭისყრის შედეგების დათვლა და სხდომისათვის გაცნობა (ოქმი თან ერთვის).

<u>**გადაწყვიტეს:**</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი უჩა ჭოტიაშვილი.
(უ.ჭოტიაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა საკრებულოს 21(ოცდაერთი) წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **გიგა ორკოდაშვილი**